

საქართველოს კანონი

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“ დამატებების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, I ნაწილი №41(48), 1999 წელი) დაემატოს შემდეგი მუხლები:

1. „მუხლი 355¹. ამომჩიველის მოსყიდვა

არჩევნების დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე ამომჩიველისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების უსასყიდლოდ ან შეღავათიან ფასებში გადაცემა ან მიყიდვა, უფასო მოშახურების გაწევა, ან ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაბრუნება, რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან არჩევნებში ხმის მიცემისგან თავის შეკავების მიზნით, გარდა საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული საავიტაციო მასალისა, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

2. „მუხლი 355². ყალბი დოკუმენტის საუძველზე არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლემბისციტში მონაწილეობის მიღება

არჩევნების, რეფერენდუმის ან პლემბისციტის დროს სხვისი პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტის ან ყალბი დოკუმენტის საფუძველზე, ან არაერტგზის ხმის მიცემა, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

3. „მუხლი 355³. არჩევნების გაყალბება

არჩევნებთან დაკავშირებული დოკუმენტების: საარჩევნო სიების, ოქმების, ბიულეტენების, ხარუჯისტრაციო ჟურნალების და საკონტროლო ფურცლების განზრახ გაყალბება, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.
საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს კანონი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში („საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 173¹⁰-173¹¹ მუხლები:

„მუხლი 173¹⁰. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების მიერ კანონით აკრძალული ფინანსური და მატერიალური შემოწირულობის მიღება ან/და შემოწირულობის დამალვა

მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებაში საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ კანონით აკრძალული ფინანსური და მატერიალური შემოწირულობის მიღება ან/და შემოწირულობის თაობაზე ინფორმაციის დამალვა, თუ შემოწირულობის თანხა არ აღემატება 5000 ლარს-

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000-დან 1500 ლარამდე.

იგივე ქმედება ჩადენილი საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ თუ შემოწირულობის თანხა აღემატება 5000 ლარს-

ამოიწვევს ამ პირის დაჯარიმებას 3000-დან 5000 ლარამდე

მუხლი 173¹¹. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების მიერ საფინანსო დეკლარაციის წარდგენისა და გამოქვეყნების კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა

პოლიტიკურ გაერთიანებაში საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ საფინანსო დეკლარაციის წარდგენისა და გამოქვეყნების კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000-დან 1500 ლარამდე.

იგივე ქმედება ჩადენილი საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ თუ შემოწირულობის თანხა აღემატება 5000 ლარს-

ამოიწვევს ამ პირის დაჯარიმებას 3000-დან 5000 ლარამდე

2. კოდექსის 174⁵ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 174⁵. ავტაციის გაწევა არჩევნების, რეფერენდუმის ან პლებისციტის დღეს.

არჩევნების, რეფერენდუმის ან პლებისციტის დღეს საარჩევნო სუბიექტის, რეფერენდუმზე ან პლებისციტზე გამოტანილი საკითხის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ ავტაციის გაწევა,–

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას 200-დან 250 ლარამდე, ხოლო თანამდებობის პირთა – თანამდებობიდან გათავისუფლებას.“

3. კანონიდან ამოღებულ იქნას 174⁷ მუხლი.

4. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 174⁸-174¹⁴ მუხლები:

„მუხლი 174⁸. წინასაარჩევნო ავტაციაში კანონის დაღვევით მონაწილეობის მიღება

წინასაარჩევნო ავტაციაში იმ თანამდებობის პირების მონაწილეობა რომელთაც ეს ეკრძალებათ საქართველოს საარჩევნო კოდექსით,–

გამოიწვევს დაჯარიმებას 1500-დან 2000 ლარამდე

ოგვე ქმედება ჩადენილი განმეორებით-

გამოიწვევს თანამდებობის პირის თანამდებობიდან გათავისუფლებას.

მუხლი 174⁹. წინასაარჩევნო მოწოდებებისა და მასალების გავრცელებისათვის ხელის შეშლა

წინასაარჩევნო მოწოდებებების, განცხადებების, წარწერების, ფურცლების, ფოტო და სხვა მასალების გავრცელებისათვის ხელის შეშლა და ჩამორთმევა, აგრეთვე სააგიტაციო დანიშნულების ავტოსატრანსპორტო და სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილი სხვა საშუალებათა ჩამორთმევა ან წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნით მათი გამოყენებისათვის ხელის შეშლა,-

გამოიწვევს დაჯარიმებას 800-დან 1000 ლარამდე, ხოლო თანამდებობის პირთა 800-დან 1200 ლარამდე ან პატიმრობას ვადით ოცდაათ დღემდე.

მუხლი 178¹⁰. საარჩევნო კამპანიის ჩატარება ამ საქმიანობისათვის აკრძალულ დაწესებულებებში

საარჩევნო კამპანიის ჩატარება იმ დაწესებულებების შენობებში, რომლებიც აკრძალულია საქართველოს საარჩევნო კოდექსით და ასეთი ნებართვის გაცემა უფლებამოსილი პირის მიერ,-

გამოიწვევს დაჯარიმებას 1500-დან 2000 ლარამდე.

მუხლი 178¹¹ არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება სავალდებულო მითითებების გარეშე

კანონით დადგენილ ვადებში არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება სავალდებულო ინფორმაციის გარეშე,-

გამოიწვევს დაჯარიმებას 1200-დან 1500 ლარამდე.

მუხლი 178¹². პოლიტიკური რეკლამის კანონით დადგენილი ვალდებულების დარღვევით განთავსება

წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამის განთავსებისა და ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევისათვის,-

გამოიწვევს ტელეკომპანიების დაჯარიმებას 1000-დან 1500 ლარამდე დაჯარიმებას, რადიოკომპანიების დაჯარიმებას 700-დან 1000 ლარამდე, ხოლო გაზეთების დაჯარიმებას 400-დან 500 ლარამდე.

იგივე მოქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციულ-სახელმწიფო საბუღალტრო სამსახურების გამოყენებიდან ერთი წლის განმავლობაში,-

გამოიწვევს ტელეკომპანიების დაჯარიმებას 3000-დან 5000 ლარამდე დაჯარიმებას, რადიოკომპანიების დაჯარიმებას 2000-დან 3000 ლარამდე, ხოლო გაზეთების დაჯარიმებას 1000-დან 1500 ლარამდე.“

მუხლი 178¹³. საარჩევნო კამპანიის ფონდში ან მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებაში კანონით აკრძალული ფინანსური და მატერიალური შემოწირულობის მიღება ან/და შემოწირულობის დამალვა

საარჩევნო კამპანიის ფონდის განმკარგველი პირის ან მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების უფლებამოსილი პირის მიერ კანონით აკრძალული ფინანსური და მატერიალური შემოწირულობის მიღება ან/და შემოწირულობის თაობაზე ინფორმაციის დამალვა,-

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000-დან 1500 ლარამდე.

იგივე ქმედება ჩადენილი Iმ პარტიების მიერ რომელიც იღებენ სახელმწიფო დაფინანსებას გამოიწვევს მათ დაჯარიმებას დამალული თანხის ხუთმაგი ოდენობით.

მუხლი 178¹⁴. საარჩევნო კამპანიის ფონდის, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების ანგარიშის წარდგენის კანონით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობა

საარჩევნო კამპანიის ფონდის, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების ანგარიშის წარდგენის კანონით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობა,-

გამოიწვევს საარჩევნო კამპანიის ფონდის განმკარგველი პირის დაჯარიმებას 1000-დან 1500 ლარამდე.

იგივე ქმედება ჩადენილი Iმ პარტიების მიერ რომელიც იღებენ სახელმწიფო დაფინანსებას გამოიწვევს სახელმწიფო დაფინანსების შეჩერებას.

7. 208-ე მუხლში რიცხვის „174-ე“ წინ დაემატოს რიცხვები „173¹⁰, 173¹¹, 174⁵, 174⁸-174¹⁴“.

8. 239-ე მუხლის მე-19 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ამ კოდექსის 174²-174⁶ და 174⁸-174¹⁴ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, მისდამი დაქვემდებარებული საარჩევნო კომისიები, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ უფლებამოსილი პირების ან/და საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირების მიერ.“

9. ამოღებულ იქნეს 239-ე მუხლის 27-ე ნაწილი.

10. 239-ე მუხლს დაემატოს 48-ე ნაწილი:

„ამ კოდექსის 173¹⁰ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ან/და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის უფლებამოსილი ორგანოები.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი
სააკაშვილი

მიხეილ

საქართველოს ორგანული კანონი

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“

ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“

მუხლი 1. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, I ნაწ. N 25 22.08.2001 წ.) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 46-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საარჩევნო კამპანიის ფონდის გახსნა საცალდებულოა ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის. სოფლისა და თემის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრობის კანდიდატები საარჩევნო კამპანიის ფონდის ხსნიან ნებაყოფლობით.“

2. 47-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული მონაცემების მითითების გარეშე შეტანილი ფულადი სახსრები ითვლება ანონიმურად. ანონიმური შემოწირულობები დაუყოვნებლივ უნდა გადაიროცხოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში“ გარდა კანონიერ გათვალისწინებული შემთხვევისა.

3. 48-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საარჩევნო კამპანიის ფონდის მმართველი ვადდებულია თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეამოწმოს ფონდში ჩარიცხული ფულადი სახსრების კანონიერება და უკანონოდ მიღებული შემოწირულობები გადარიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში; ამასთანავე, საარჩევნო კამპანიის ფონდის გახსნიდან ყოველკვირეულად შესაბამის საარჩევნო კომისიას, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი ფორმების მეშვეობით, აცნობოს შემოწირულობის წყარო, ოდენობა და მიღების თარიღი, ხოლო არჩევნების შემდგომ კანონით დადგენილ ვადებში წარუდგინოს ფონდის ანგარიში. საარჩევნო კამპანიის ფონდის მმართველისა და ბუღალტრის პასუხისმგებლობა ამ კანონით გახსაზღვრული ფინანსური და მატერიალური შემოწირულობების

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებებისა და დამატებების შესახებ

შიდებისა და შემოწირულობათა დამატებისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.“

4. 48-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საარჩევნო სუბიექტები არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა, ხოლო საარჩევნო სუბიექტები, რომლებიც წინასწარი მონაცემებით მიიღებენ ამ კანონით დადგენილი ხმების საქარო რაოდენობას კენჭისყრის დღიდან არა უგვიანეს 8 დღისა შესაბამის საარჩევნო კომისიას აუდიტორულ (აუდიტური ფორმის) დასკვნასთან ერთად წარუდგენენ არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშს საარჩევნო კამპანიის ფონდში ჩარიცხული ფულადი სახსრების წყაროს მითითებით; აუდიტორული შემოწმების ჩატარების უფლება აქვს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ აუდიტორს (აუდიტორულ ფორმას).“

5. 48-ე მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. საარჩევნო სუბიექტები, რომლებიც მიიღებენ ამ კანონით დადგენილი ხმების საქარო რაოდენობას და დადგენილ გადაში არ წარადგენენ საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშს, ან დადასტურდება ამ კანონის 46-ე მუხლის მე-2, მე-3, მე-4, მე-5 პუნქტების, 47-ე მუხლის მე-4, მე-5 პუნქტების, ამ მუხლის მე-4, მე-5, მე-6 პუნქტების მოთხოვნათა დარღვევა, შესაბამისი საარჩევნო კომისია იხილავს და იღებს გადაწყვეტილებას ამ საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების გაუთვალისწინებლად არჩევნების შედეგების შეჯამების თაობაზე. საარჩევნო სუბიექტის მიერ საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშის არასწორი მონაცემებით წარდგენისას, მისი და საარჩევნო კამპანიის ფონდის განმკარგველი პირების პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.“

6. 48-ე მუხლის მე-11 პუნქტი გადაკეთდეს მე-12 პუნქტად.

8. 48-ე მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. საარჩევნო სუბიექტების მიერ არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშების მონიტორინგის მიზნით საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან არჩევნების პერიოდში ცესკოს განკარგულებით იქმნება საზოგადოებრივი წარმომადგენლებით, ორისტებითა და ლიცენზირებული აუდიტორებით დაკომპლექტებული ფინანსური მონიტორინგის ჯგუფი.“

7. 73-ე მუხლის მე-14 და მე-15 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„14. არჩევნების დღემდე 50-ე დღიდან ცესკოს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების დამტკიცებამდე სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელნი, აგრეთვე საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებული არიან დაიცვან შემდეგი პირობები:

ა) მაუწყებლობის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისთვის საეთერო დროის გამოყოფის შემთხვევაში საჯაროდ გამოაცხადონ და ყოველკვირეულად საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (რეგიონალურმა ტელერადიომმაუწყებლობებმა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას) გადასცენ ინფორმაცია: რა რიცხვიდან რა რიცხვამდე და რა პერიოდულობითაა გამოყოფილი საეთერო დრო; ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი დროის ხანგრძლივობა და გრაფიკი; საეთერო დროის ტარიფი; გაწეული მომსახურება;

ბ) ტელე- ან რადიოკომპანიის მიერ ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს არ უნდა არემატებოდეს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს ამ დროის ერთ შესამედზე მეტი არ უნდა დაეთმოს;

გ) დღიური ფასიანი საეთერო დრო თანაბრად უნდა განაწილდეს საარჩევნო სუბიექტებს შორის;

დ) დროის ტარიფი ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის ერთნაირი უნდა იყოს;

ე) პოლიტიკური რეკლამის გამოქვეყნებისას კადრის კუთხეში უნდა იყოს წარწერა „ფასიანი პოლიტიკური რეკლამა“ ან „უფასო პოლიტიკური რეკლამა“;

ვ) ამ პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდში არ დაუშვან პოლიტიკური რეკლამის განთავსება სხვა დროს, გარდა ამ მიზნით გამოყოფილი დროის შუალედისა.

15. არჩევნების დღემდე 50-ე დღიდან საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების დამტკიცებამდე გაზეთები, გარდა პოლიტიკური პარტიის გაზეთისა ვალდებული არიან დაიცვან შემდეგი პირობები:

ა) გაზეთის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისთვის გაზეთის ფართობის გამოყოფის შემთხვევაში იმავე გაზეთში გამოაქვეყნონ და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (რეგიონალურმა გაზეთებმა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას) ყოველკვირეულად გადასცენ ინფორმაცია: რა რიცხვიდან, რა პერიოდულობით და რა დრომდეა გამოყოფილი გაზეთის ფართობი; გაზეთის ერთ ნომერში გამოყოფილი ფართობის სიდიდე; უფასო

ფართობის გამოყოფის შემთხვევაში, მთლიანად გამოყოფილი ფართობის უფასო ნაწილის სიდიდე; ფართობის ტარიფი: გაწეული მომსახურება;

ბ) არც ერთ საარჩევნო სუბიექტს გაზევის ერთ ნომერში ან ერთი კვირის განმავლობაში გამოყოფილი ფართობის ერთ შესაძლებელ მეტი არ უნდა დაეოძოს;

გ) გაზევის ერთ ნომერში ან ერთი კვირის განმავლობაში გამოყოფილი ფართობი თანაბრად უნდა განაწილდეს საარჩევნო სუბიექტებს შორის;

დ) ფართობის ტარიფი ყველა საარჩევნო სუბიექტისთვის ერთნაირი უნდა იყოს;

ე) საავიტაციო წერილისა და პოლიტიკური რეკლამის გამოქვეყნებისას წერილის სათაურამდე და რეკლამის კუთხეში უნდა იყოს წარწერა „ფართობი პოლიტიკური რეკლამა“ ან „უფასო პოლიტიკური რეკლამა“;

ვ) ამ პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდში არ გამოაქვეყნონ პოლიტიკური რეკლამა ამ პუნქტი დადგენილ მოთხოვნათა დარღვევით.“

10. 73-ე მუხლის მე-16, მე-17, მე-18 და მე-19 პუნქტები ჩაითვალოს შესაბამისად მე-17, მე-18, მე-19 და მე-20 პუნქტებად, ხოლო მე-16 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„16. ამ მუხლის მე-14 და მე-15 პუნქტების „ა“ ქვეპუნქტებით საარჩევნო კომისიაში წარსადგენი ინფორმაციის ფორმებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს განკარგულებით.“

11. 73-ე მუხლის მე-20 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„20. ამ მუხლის მე-3, მე-5, მე-7, მე-9–მე-15 და მე-18 პუნქტების დამრღვევ შირს ეკისრება კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა.“

12. 75-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ბეჭდვით საავიტაციო მასალაზე აღნიშნული უნდა იყოს დამამზადებელი და დამკვეთი ორგანიზაციების სახელწოდებები, მისამართები, ინფორმაცია მისი ტირაჟის, რიგითი ნომერისა და გამოსვების თარიღის შესახებ. იკრძალება ბეჭდვით საავიტაციო მასალის გავრცელება ამ ინფორმაციის მითითების გარეშე.“

13. 129-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩაითვალოს მე-5 პუნქტად, ხოლო მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ კანონის 48-ე მუხლის მე-11 პუნქტი ამოქმედდეს 2005 წლის 1 დეკემბრიდან.“

მუხლი 2-ის კანონი ამოქმედდეს
გამოქვეყნებისთანავე საქართველოს ბრეზიდენტის
მიხედვით სააკაშვილი

საქართველოს ორგანული კანონი
„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების
შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა
და დამატებების შეტანის თაობაზე“

მუხლი 1. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში („საქართველოს პარლამენტის უწყებანი“ №45, 1997 წელი,) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 26-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აკრძალულია ფინანსური და მატერიალური შემოსწორულობების მიღება:

ა) სხვა ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მოძრაობებისაგან, ლექციების, სემინარების და სხვა მსგავსი საჯარო ღონისძიებების მოწყობის გარდა;

ბ) სახელმწიფო ორგანოს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის, სახელმწიფო ორგანიზაციის და იმ საწარმოებისაგან სადაც სახელმწიფო წილი აღემატება 10%-ს, გარდა ამ კანონით დადგენილი შემთხვევებისა;

გ) არასამეწარმეო იურიდიული პირის და (რელიგიური ორგანიზაციისაგან), ლექციების, სემინარების და სხვა მსგავსი საჯარო ღონისძიებების მოწყობის გარდა;

დ) მოქალაქეობის არმქონე პირისაგან;

ე) ანონიმური ფორმით გარდა კანონით გათვალისწინებულისა.

2. შემოსწორულობის შემტანი იურიდიული პირი ვალდებულია მიუთითოს თავისი სახელწოდება და იურიდიული მისამართი, ხოლო ფიზიკურმა პირმა უნდა მიუთითოს სახელი, გვარი, მისამართი, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (საქართველოს მოქალაქის პასპორტი) და პირადი ნომერი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული მონაცემების მითითების გარეშე შეტანილი ფულადი სახსრები ითვლება ანონიმურად. ყოველწლიურად ნებადართულია ანონიმური დაფინანსების მიღება არაუმეტეს 30.000 ლარის ოდენობით. ანონიმური შემოსწორულობები აღნიშნული თანხის ზევით პოლიტიკური გაერთიანების საფინანსო საქმიანობაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირის მიერ დაუყოვნებლივ უნდა გადაინიცხოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.“

2. მუხლი 27

პარტიის მიერ მიღებული ფინანსური და მატერიალური შემოსწორულობების დირეულება წელსწადში არ უნდა აღემატებოდეს :

- ა) თითოეული ფიზიკური პირისაგან – 30 000 ლარს
- ბ) თითოეული იურიდიული პირისაგან – 100 000 ლარს

3. მუხლი 30.

1. სახელმწიფო ტაყისი ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოყოფს ვარკვეულ თანხას პარტიების ორგანიზაციული და სხვა საქმიანობისათვის.

2. იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომელთაც საქართველოს პარლამენტის უკანასკნელ საერთო არჩევნებში გადალახეს 4%-იანი ბარიერი ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხა გამოეყოფა მიღებული ხმების შესაბამისად:

- 200 000 ხმამდე – თითოეული ამომრჩევლის ხმაზე 2 ლარი
- დამატებით 300 000 ხმამდე - თითოეული ამომრჩევლის ხმაზე 1,5 ლარი;
- დამატებით თითოეული ამომრჩევლის ხმაზე 1 ლარი

3. 200 ლარი ყოველთვიურად – დამატებით ტითოეული პარლამენტის წევრისათვის, რომელიც გაწევრიანებული შესაბამის პოლიტიკურ პარტიაში.

4. საარჩევნო ბლოკისათვის გამოყოფილი თანხა თანაბრად ნაწილდება მასში გაერთიანებულ პარტიებს შორის.

4. მუხლი 31.

ამ კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული თანხა პარტიის ანგარიშზე ჩაირიცხება პროპორციულად, ყოველთვიურად.

5. 32-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პარტია ყოველი წლის 1 თებერვლამდე ბუქდვით ორგანოში აქვეყნებს გასული წლის საფინანსო დეკლარაციას აუდიტორის (აუდიტური ფირმის) დასკვნასთან ერთად. დეკლარაციაში აღსახება პარტიის წლიური შემოსავალი (საწევრო შენატანების და შემოსწორულობების ოდენობა, შემოსწორულობის განმანორციელებელი ფიზიკური და იურიდიული პირების თაობაზე მონაცემები, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი, აგრეთვე საგამომცემლო და პარტიის მიერ სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობით მიღებული თანხები) და გასავალი (არჩევნებზე, სხვადასხვა ღონისძიებათა დაფინანსებაზე, შრომის ანაზღაურებაზე, მავლიანებაზე და სხვა გაწეული ხარჯები), აგრეთვე ქონებრივი მდგომარეობის ანგარიში (კუთვნილი შენობა-ნაგებობების, ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა და სახეობა. მათი საერთო ღირებულება, საბანკო დაწესებულებებში რიცხული თანხების ოდენობა).“

ბ) მე-3 პუნქტი გადაკეთდეს მე-4 პუნქტად და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. პარტია გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროში და პარტიის იურიდიული მისამართის შესაბამისად ადგილობრივ

საგადასახადო ორგანოში წარადგენს გამოქვეყნებული დეკლარაციისა და აუდიტორის (აუდიტური ფირმის) დასკვნის ასლს.“

გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. არჩევნების დროს პარტიის საარჩევნო ბლოკში გაერთიანების შემთხვევაში, პარტიის მიერ მიღებულ და გამოყენებულ სახსრებად ითვლება, პარტიის საარჩევნო ბლოკში გაერთიანებამდე მიღებულ და გამოყენებულ თანხებს დამატებული საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული და გამოყენებული შემოსურულობების იმდენჯერ ნაკლები თანხა, რამდენი პარტიაც იყო გაერთიანებული საარჩევნო ბლოკში.“

6. 39-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული წესით პარტიების დაფინანსება დაიწყება 2006 წლის 1 იანვრიდან.

7. 39-ე მუხლის დაუმატოს შემდეგი შინაარსის მე-4-ნ პუნქტი:

4. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს პარლამენტის წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის ღონისძიებათა შესახებ“, ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი 2006 წლის 1 იანვრიდან.

5. ამ კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტით და მე-5 პუნქტით დადგენილი დაფინანსება საქართველოს პარლამენტის 2008 წლის არჩევნებამდე მიუცვოთ აგრეთვე იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი არიან ფრაქციის სახით.“

6. 2009 წლიდან 26-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული მონაცემების მითითების გარეშე შეტანილი ფულადი სახსრები ითვლება ანონიმურად. ანონიმური შემოსურულობები პოლიტიკური გაერთიანების საფინანსო საქმიანობაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირის მიერ დაუყოვნებლივ უნდა გადაირიცხოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2005 წლის 1 დეკემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტის
სააკაშვილი

მიხეილ